თანხმობა

ქ. თბილისი

18.12.2013წ.

მე, შპს "კომპასი"-ს (ს/კ 404420113) დირექტორის დალი ბერულავას (პ/ნ 01025003756) წარმომადგენელი გიორგი გოშხოთელიანი (პირადი №01026007472), თანახმად მინდობილობისა: რეესტრში რეგისტრაციის №120807112, დამოწმებული ნოტარიუს ნ. ბაკურაძის მიერ 01.08.2012 წელს, ვაცხადებ თანხმობას, შპს "კომპასი"-ს კუთვნილ ფართზე, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, სანდრო ეულისა და ქავთარაძის ქუჩების კუთხეში (ს/კ 01.14.04.028.021), ირაკლი დარსალიამ (პ/ნ 62007002347) მოახდინოს გარე რეკლამის განთავსება, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

შპს "კომპასი"-ს დირექტორის
დალი ბერულავას წარმომადგენელი
გიორგი გოშხოთელიანი გიორგი გოშხოთელიანი

ორიათას ცამეტი წლის თვრამეტ დეკემბერს მე, **ნოტარიუს შორენა ხაინდრავას** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18,** მომმართა **გიორგი გოშხოთელიანმა,** რომელმაც წარმოადგინა 18.12.2013 წლის თანხმობა და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **გიორგი გოშხოთელიანმა** (დაბ. 03.01.1984წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ს. ცინცაძის ქ. №2 ბ.11, პირადი №01026007472) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, ასევე განვუმარტე, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს სამართლებრივ შედეგებზე. ამის შემდეგ **გიორგი გოშხოთელიანმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე თანხმობას.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე თანხმობის 1 ეგზემპლარზე შესრულებული 1 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 2 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მ.31 პ.3-ის თანახმად) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მ.39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 4 ლარი.

ნოტარიუსი ---------- /შორენა ხაინდრავა/

ნოტარიუსი შორენა ხაინდრავა * NOTARY SHORENA KHAINDRAVA * ნოტარიუსი საქართველო * GEORGIA NOTARY

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131310619
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.12.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**შორენა ხაინდრავა**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2725342
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	26286343502313

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18